საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

N 27
12/02/2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფისა და პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - თამილა გაბაიძე.

2. სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.moa.ge საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი-ლაშა აბულაძე),რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას, აგრეთვე დადგენილი პერიოდულობით მის განახლებას.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს აწვდიან შემდეგი სახის ინფორმაციას:

4.1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

ა) სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა - განახლებისთანავე;

ბ) სამინისტროს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

გ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები - განახლებისთანავე;

დ) სამინისტროში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა) განახლებისთანავე;

ე) სამინისტროში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში - განახლებისთანავე;

ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სამინისტროში შემოსული განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ზ) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

თ) სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ი) ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

კ) რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ლ) სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

მ) ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

ნ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

ო) ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

4.2. აგრარული განვითარების დეპარტამენტი:

- სამინისტროს მიერ შემუშავებული კონცეფციები - განახლებისთანავე;

4.3. პოლიტიკის და ანალიტიკის დეპარტამენტი:

- სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები - განახლებისთანავე;

4.4. პროგრამების მართვის დეპარტამენტი:

- სამინისტროს სერვისების შესახებ ინფორმაცია - განახლებისთანავე.

4.5. ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი:

ა) სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ბ) ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით) - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ხოლო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

გ) უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

დ) ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

ე) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

ვ) ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება სამინისტროს მიერ;

4.6. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი:

ა) ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ სამინისტროს ხელმძღვანელ პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ბ) ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ სამინისტროს ხელმძღვანელ პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით) - კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 დღისა;

გ) სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი - წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

4.7. იურიდიული დეპარტამენტი:

ა) სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი) ძალაში შესვლიდან 7 დღეში;

ბ) ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სამინისტროს საქმიანობასთან, ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში;

გ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში;

დ) ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს სამინისტროში კონკურსის ჩატარების წესებს, ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში;

ე) კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა - ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში;

ვ) სამართლებრივი აქტები, რომლებიც, სამინისტროს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია, ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში;

ზ) სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან სამინისტროსტვის გამოყოფილი თანხების შესახებ, აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 7 დღეში (ბუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე);

თ) სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

5. ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი - შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციასაც წარმოადგენს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მომზადება.

6. ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს მიეწოდება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ ყველა გვერდზე ხელმოწერილი (გარდა სამართლებრივი აქტებისა, რომელიც მიეწოდება ელექტრონული ფორმით) და საქმისწარმოების განყოფილებაში რეგისტრირებული სამსახურეობრვი ბარათით, ასევე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ელექტრონული ვერსია word/excel/Power Point-ის ფაილში.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის ასლის მიღებისათვის, დაინტერესებული პირების მიერ ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მეშვეობით შემდეგ რეკვიზიტებზე: **მიმღები** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები; **მიმღები ბანკი** – ,,სახელმწიფო ხაზინა” ქ. თბილისი; **მიმღები ბანკის კოდი** – TRESGE22; **მიმღების ანგარიში** – 200 122 900; **ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი** – 3 0092 3173.

8. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 8 ნოემბრის N176 ბრძანება;

11. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ა. თავდგირიძე) უზრუნველყოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბრძანების გაცნობა შესაბამის პირებზე.

12. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, მისამართი ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9 და ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისამართი ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.N30, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ტიტე არუშიძე

მინისტრი